ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3140418

ნომერი: AR1484968

თარიღი : 09.03.2017

გაცემის თარიღი : 13.03.2017

გაცნობის თარიღი : 13.03.2017

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , ხატაეთის ქუჩა , N 41 / ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , ხატაეთის ქუჩა , N 39 / ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , ხატაეთის ქუჩა , N 39ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლუკა გოგლიძე პ/ნ 01019063777
- თბილისი პ.მამრაძის ქ. N 18

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 9 მარტის #AR1484968 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2017 წლის 3 თებერვლის #3079999 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას.

პასუხად გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.036.481; N01.72.14.036.288; N01.72.14.036.025;) სამსახურის მიერ 2017 წლის 3 მარტს #3079999 ბრძანებით გაცემულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განსათავსებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. ასევე, აღნიშნულ ბრძანებაში შენიშვნის სახით დაფიქსირებულია: „1. პროექტის შეთანხმების სტადიაზე წარმოდგენილ იქნეს მიწის ნაკვეთების გაერთიანებული საკადასტრო ერთეული; 2. პროექტის შეთანხმების სტადიაზე მიწის ნაკვეთების ფუნქცია სასოფლო–სამეურნეო შეიცვალოს არასასოფლო–სამეურნეო ფუნქციით;“. ვინაიდან მოხდა მიწის ნაკვეთების გაერთიანება (საკადასტრო კოდით: N01.72.14.036.735) და მიწის ნაკვეთის ფუნქცია წარმოადგენს არასასოფლო–სამეურნეოს, შეგიძლიათ ისარგებლოთ ზემოაღნიშნული ბრძანებით და საკითხი განსახლველად დააყენოთ პროექტის შეთანხმების სტადიაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2017 წლის 3 თებერვლის #3079999 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.